ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№12, 30 დეკემბერი, ორშაბათი, 2019 წელი

დამდეგო ახალო წელო, ნუ წაგვართმევ შვილებს ! ! !

მეცხრე სართული...

15 წლის ლუკა სირაძის ხსოვნას

თვალს რანაირად ვუსწორებთ რიჟრაჟს! –
ჩვენ ახლა უნდა სულყველას შეგვრცხვეს!..
თქვა, ამ ცხოვრების დედაცო, ბიჭმა
და ზემოთ დარჩა სართული მეცხრე...

ეს იყო კარის მოჯახუნება
იმათვის, პასუხს ვერ სთხოვენ ვისაც...
ჩვენი ცხოვრების ჯოჯოხეთიდან
გადახტა ბიჭი თხუთმეტი წლისა!!!

ჩვენ კი ისევე ერთმანეთს ვმიჯნავთ,
ვართ ერთმანეთის მტრობით გართული!..
თქვა, ამ ცხოვრების დედაცო, ბიჭმა
და მაღლა დარჩა მეცხრე სართული...

თქვენ კი... მეც ცისკენ ვეძებ სამზერებს,
რაზედაც თვალი ტყვილა დაშვრება...
ისეთი ლექსი რად ვერ დავწერე,
რომ არ მოიკლან თავი ბავშვებმა!..

ბათუ დანელია (შარელი)



ინტერვიუ

ქართველი ემიგრანტები სამშობლოში უნდა დაბრუნდნენ!

ბელა მახარაძე-ბერკემერი

ბელა მახარაძე-ბერკემერი – ქართველი მევიოლინე თითქმის ორი ათეული წელია, გერმანიაში, ამჟამად ქ. იბერბურგში ცხოვრობს. ნიჭიერ, მიზანდასახულ და მომხიბვლელ მუსიკოს ქალბატონს არ გასჭირვებია პედანტი ბუნების მსმენელის გულის დაპყრობა. თუმცა, მანამდე, მეუღლის – მაესტრო უვე ბერკემერის გული დაიპყრო, რომელიც ერთდროულად, კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი გახლავთ. სწორედ, პროფესიამ შეახვედრა იგი ქართველ მევიოლინე გოგონას და მის თანამეცხედრედ აქცია. მზრუნველი და მოსიყვარულე მეუღლის ხელშეწყობით, ბელა მახარაძე დიასახლისის მოვალეობისაგან თავისუფალია და მთელ თავის ნიჭსა და დროს მის საყვარელ საქმეს – მუსიკას უთმობს.

გურიის სოფელ ნატანების მკვიდრი, თავნება გოგონას ცხოვრება კონკიას ზღაპარს ჰგავს, ოღონდ, კონკიასაგან განსხვავებით, ბელას ძლიერი, ქართული ტრადიციების ოჯახი უმაგრებს ზურგს, დღემდე. კონკიას სამი კაკალი მასზე შეყვარებული მეუღლე და ორი ფერია გოგოა, ოქროს ქოში კი – წარმატებული ხელოვნება, რომელიც ბელამ შრომით შექმნა.

გასული წლის მარტში, კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ბელამ ,,წარმატებული ემიგრანტი ქალის ტიტული" მიიღო, ახლახან, 26 დეკემბერს, სასტუმრო ,,ბილტმორში" ბელა და უვე ბერკემერები კომპანია ,,ქართულმა ბრენდმა" ნომინაციით – ,,რეპუტაცია და ნდობა" დააჯილდოვა.

რა არის ხელოვანი ქალის წარმატების საიდუმლო და როგორ ხედავს იგი საქართველოს მომავალს? – ამაზე თვითონ ბელა გვესაუბრება.

– ბელა, დამეთანხმები, რომ ბავშვობის ხანა ბევრ რამეს განსაზღვრავს თითოეული ადამიანის მომავლისთვის. როგორი იყო შენი ბავშვობა?

– საკუთარ თავში დარწმუნებული, აქტიური ბავშვი ვიყავი. რასაც მოვინდომებდი, ვაკეთებდი. სიმღერა, ცეკვა, ორკესტრი, გუნდი – ყველაფერში ჩართული ვიყავი. დედა, პროფესიით, პიანისტია, ასე რომ მუსიკისა და, ზოგადად, ხელოვნების სიყვარული ბავშვობიდან ჩასახლდა ჩემში. კოტე მახარაძე ჩემი ბიძა იყო, ზაფხულობით, მასთან ერთად, მსახიობები ჩამოდიოდნენ ჩვენს სახლში. ჩვენი ოჯახი ხელგაშლილი და გულგაშლილი ხვდებოდა სტუმარს. სტუმრისა და მოყვასის სიყვარულიც, მუსიკასთან ერთად, გენეტიკურად გამომყვა.

– 16 წელია გერმანიაში ცხოვრობ. იქ როგორ მოხვდი და რა არის შენი საქმიანობა, გარდა კონცერტებისა?

– გერმანიაში მუსიკალურ განათლებას და სპეციალობას ვაძლევ ბავშვებს. იქ კი ჩემი მეუღლის გამო აღმოვჩნდი, რომელიც ქ-ნი ლიანა ისაკაძის საშუალებით გავიცანი. კონსერვატორიის დამთავრებისთანავე, ქ-მა ლიანამ მის მიერ დაარსებულ კამერულ ორკესტრში ჩამრიცხა. სულ მალე მან გერმანიიდან უვე ბერკემერი მოიწვია, როგორც ორკესტრის დირიჟორი. უვეს ერთი ნახვით შევუყვარდი, მაგრამ ერთმანეთის ენა არ გვესმოდა, არც დამხმარე ენებს ვფლობდით... უვემ ჩემდამი გრძნობები ქ-ნ ლიანას გაუმხილა. კარგად ვმღეროდი და უვეს ,,წინწყარო" ვუმღერე, ქ-ნ ლიანას თხოვნით.

და, ასე, მხოლოდ მუსიკის და სიყვარულის ენით ვსაუბრობდით კარგა ხანს.

უვე უნიკალური ნიჭის ადამიანია, რამდენიმე პროფესიას ფლობს. იდეალური მეუღლეა, მაფასებს და მანებივრებს. კარგი მზარეულიც არის. საჭმლის მომზადება ჩვენ ოჯახში მე არ მეხება. ქართული სამზარეულო თვითონაც მოსწონს და გურმანიც გახლავთ. 2005 წელს, უვემ საქართველოში რჩეული კავკასიელი მუსიკოსების კამერული ორკესტრი შექმნა, რომელიც 2008 წელს აგვისტოს ომის დროს დაიშალა. თუმცა, ამ პროექტის ფარგლებში, კვლავ ჩამოგვყავს გერმანიაში ორკესტრი და ისევ ვმართავთ კონცერტებს ევროპის ქალაქებში. 2017 წელს, საქართველოში კამერული მუსიკის ფესტივალი ჩავატარეთ.

ბერკემერების მუსიკალური ოჯახი

– ბელა, წარმატება დადებით ემოციებს ბადებს და ალაღებს ადამიანს. რა არის საჭირო წარმატებისთვის?

– 9 წლის ასაკში, ბათუმის კონსერვატორიის სცენაზე კამერულ და სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ჩემი შესრულება, ალბათ ბედია, მაგრამ ბედს მიზანდასახულობა და შრომა თუ არ დაუმატე, არაფერი გამოვა. შრომა ნებისყოფას აძლიერებს. სოფლელმა გოგომ არცთუ ცოტას მივაღწიე ამ ყველაფრით. თუმცა, შესაძლოა, გამიმართლა კიდეც.

– როგორია უცხოეთიდან დანახული სამშობლო?

– წელში მოხრილია ჩემი საქართველო, მაგრამ მაინც ამაყი. ბევრჯერ ყოფილა დაჩოქილი, მაგრამ წამომდგარა... ამასაც დავძლევთ! ქართველი ემიგრანტები საქართველოს უნდა დაუბრუნდნენ. მეც და ჩემი მეუღლეც ამას ვაპირებთ!

– თოვლის ბაბუის თუ გჯეროდა ბავშვობაში?

– თოვლის ბაბუას გარშემომყოფები მიქმნიდნენ, ახლა, მე, თავად ვქმნი და ისე ვცხოვრობ, როგორც მინდა. ვისურვებდი, ყოველი ქართველი ბედნიერი მენახოს.

– ბელა მახარაძის საახალწლო რეცეპტი...

– მხოლოდ ერთი რეცეპტი არსებობს – **ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი !** მეტი არაფერია საჭირო!

– წარმატებებს გისურვებ!

ესაუბრა **ეკა ბაქრაძე**

იუმორესკა

მზეგული ტეშელაშვილი

ვაი-ექიმი

ერთ მშვენიერ (მშვენიერი დაარქვი შენ და...) დღეს ყურის ექიმთან ვიზიტი გადავწყვიტე. შეგნებულად არ დავასახელებ ქალაქსა თუ რაიონს, სადაც, რბილად რომ ვთქვათ, აღნიშნული ინციდენტი შემემთხვა. ჰოდა, შევალე ექიმის კაბინეტის კარი და, საყოველთაოდ მიღებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, ექიმს მორიდებით მივმართე:

– ექიმო, რეკლამას მოვუსმინე, ჩემნაირი ჩივილების დროს პაციენტები იყენებენ პრეპარატ ,,ტონის“, თქვენ რას მირჩევდით ამ წამლის შესახებ?

– ტონი და მონი მე არ ვიცი. აი, (მაგიდის უჯრიდან წამლების მოზრდილი სია ამოაძვრინა) უნიკალური წამლები, გამოგიწერ და... სხვათა შორის, სულ ახლახან მივიღეთ, ეფექტურიც არის და სიახლესაც წარმოადგენს მედიცინაში, – იყო პასუხი.

ეჭვიანი ნამდვილად არ გახლავართ. საერთოდ, ჩემს თავს უფრო კანონმორჩილს (ექიმთან მორჩილებასაც რომ გულისხმობს) ვუწოდებ, მაგრამ მისმა ბოლო სიტყვებმა (ალბათ, დეტალებმაც) ჩემში უნდობლობის ჭია იმ დოზით გააღვიძა, რომ უნებლიედ გავიფიქრე: დათიკო ულვაშა (ასე ეძახდნენ ბაბუას შინაურობაში) რომ წამოდგეს საფლავიდან და დამიყვავოს – მიიღე, ბაბუა, რისა გეშინია, უთუოდ გიშველის-ო, მაინც არ მივიღებ იმ წამალს-მეთქი...

ამ ქმედებას სახელად წინათგრძნობა (გნებავთ, ინტუიცია) ჰქვია, ჩემო მკითხველო, რომლის წყალობითაც ვზივარ ახლა, ასე არხეინად და გესაუბრებით!

რა თქმა უნდა, ექიმს თავაზიანად დავემშვიდობე და მის მიერ გამოწერილი წამალიც შარშანდელი თოვლივით დავივიწყე.

მას შემდეგ გავიდა გარკვეული დრო (ზუსტად, რამდენი, არ მახსოვს) და ვიღაც მირეკავს უცხო ნომრით. მირეკავს და საკმაოდ მორიდებული, შიშნარევი ხმით კითხულობს: ესა და ეს ადამიანი (ჩემს სახელსა და გვარს მეუბნება) თქვენ ბრძანდებითო? და, ალბათ, საუკუნედ მოეჩვენა ის მცირე პაუზა, რომელიც პასუხის გაცემამდე გავაკეთე.

რაღა ბევრი გაწვალოთ და, ბარემ, ვიტყვი, რომ მირეკავდა... ყურის ექიმი (უფრო სწორად, „ვაი-ექიმი“), რათა, დარწმუნებულიყო, რომ იმ წამლის მიღების შემდეგ, ვერავინ მოახერხებდა მისთვის პასუხის გაცემას...

შეკითხვაზე დადებითი პასუხის მოსმენის შემდეგ, როგორც იქნა, ირწმუნა (თუმცა, ვაღიარებ, რომ ძალიან კი გაუჭირდა) რეალობა და, უნიჭოდ შენიღბული სიხარულით, იმით დაინტერესდა, მივიღე თუ არა მისი გამოწერილი წამლები და ახლა როგორ ვგრძნობ თავს.

– ღვთის წყალობით, თავს კარგად ვგრძნობ, – ვამბობ ღიმილმორევით, დიდად გმადლობთ, მაგრამ გამოგიტყდებით და, თქვენ მიერ გამოწერილი წამლების მიღება აზრადაც არ მომსვლია. რატომ? (გავიკვირვე მისი შეკითხვა ისე, როგორც მას გაუკვირდა ჩემი ყოფნა ცოცხალთა შორის!) რატომ და, ჩემი პროფესიის ადამიანებს ბევრ რამეს გვკარნახობს ინტუიცია, ალღო, თუ წინათგრძნობა! ყოველ შემთხვევაში, ეს, ასე უნდა იყოს, – გავიჭიმე უკვე მეც! ამჟამად, ექიმს იმაზე ,,დასცხა,“ (თუ ტელეფონის ნომერი მოიძია ჩემი, პროფესიაც იქვე არ ეწერა?) არიქა, ინტრიგანი არ იყოს და არ მიჩივლოსო... და სულ ქოქოლა აყარა იმ კომპანიას, რომელმაც ასეთი წამლები შეატყუა! თან, ღმერთს მადლობას სწირავდა ჩვენი გადარჩენისთვის. დიახ, ზუსტად ასე ამბობდა – ჩვენი გადარჩენისთვის-ო და მომეჩვენა, რომ იგი გულწრფელი იყო!

ერთადერთი, კარგი, ამ ამბავიდან ის გახლავთ, რომ სიკვდილისთვის ორჯერ უკვე ჩამიხედავს თვალებში და ეს მესამე შემთხვევა იყო. წესით, უნდა მიხაროდეს... ალბათ, კარგა ხანს აღარ მოვკვდები! ღმერთს ვყვარებივარ, რას ვიზამთ!

აი, ასე ვიმშვიდებ თავს და ვხვდები, რომ ეს სიმწრის ხუმრობაა...

ვარიაციები

მგზავრობისას, ჩემთვის, შეუმჩნევლად ჯდომა მიყვარს და ,,ბალზე ზის და ტყემალს კრეფსო“ – ამ სიფათით მგზავრებისთვის ყურის გდება. არადა, სწორედ მაშინ, შეუმჩნევლად, ნახევარ ავტობუსს მაინც ვაკონტროლებ, თანაც, ისეთი გულისყურით ვისმენ და ვიმახსოვრებ ყველაფერს, რომ შეგშურდება კაცს.

ის, რაზედაც ახლა უნდა გიამბოთ, ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ მომხდარი ამბებია. მიუხედავად ამისა, გუშინდელივით მახსოვს და, თანაც, ქვეცნობიერად, მუდამ ვგრძნობდი, რომ ამ ამბავს ოდესმე მივუბრუნდებოდი, მოვიცლიდი მის დასაწერად. ჰოდა, ეს ,,ოდესმეც“ დადგა, როგორც იქნა.

მატარებლით ვმგზავრობ. ერთი ქალბატონი, სავარაუდოდ, ოჯახისთვის სავაჭროდ წამოსული, ეუბნება თავის ნაცნობს:

– გოგო, თიკოიას ორმოცი აქვს ფეხი.

– თანამგზავრმა, შემთხვევით თუ შეგნებულად, წაუყრუა ამ ფრაზას. მთქმელი კი იმეორებს დაჟინებით. გამეცინა, (რა თქმა უნდა, გულში) რადგან ნოდარ დუმბაძის სიტყვები გამახსენდა: წელს ბევრი სიმინდი დავთესე, მაგრამ რად გინდა, კაკალი არ ამოვიდაო. თუ სიმინდი დათესე, კაკალი როგორ ამოვიდოდაო? და მაგრად ვიხალისე, ისევ გულში.

ჩემთვის უსაყვარლესი რეგიონიდან, იმერეთიდან იყვნენ ჩვენი მგზავრები. ალბათ, იმის თქმას აპირებდა სანდომიანი სახის მანდილოსანი, რომ თავის თიკოს, (დამამთავრებელი კლასის მოსწავლეს) უკვე ორმოცი ზომა ფეხსაცმელი ესაჭიროებოდა. ფეხი კი, ჩვეულებრივ, ორი აქვს ადამიანს, ზოგს, სამწუხაროდ ერთიც, მაგრამ ორმოცი რომ ჰქონდეს – წარმოუდგენელია, პირდაპირ!

ჩემი ბავშვობისას, ქვემო იმერეთში, პირუტყვს ნახირში არ უშვებდნენ. ოჯახის ერთი წევრი საგანგებოდ ამ საქმისთვის იყო გამოყოფილი. და, თუ რატომ დამჭირდა ეს შესავალი, თავად მიხვდებით სულ მალე.

– ვალიკონეს ხომ იცნობ, ჩვენსას? – ეუბნება ჩემს უკან მჯდომი ერთი მგზავრი მეორეს და ისე აგრძელებს მოყოლას, რომ პასუხს არც კი ელოდება. ეს ვალიკონე კი, სოფელში, დახვეწილი იუმორით გამორჩეული კაცი გახლდათ.

– რავა არ ვიცნობ, შე კაცო! – იწყინასავით მეორემ.

– ჰოდა, მაგისთვის უკითხავს პროფკავშირების თავმჯდომარეს: საექსკურსიოდ ემზადება თქვენი ბრიგადა და რას იზამ, არ წამოხვალო? ამ შეჩვენებულს კი, იცი, რა უთქვამს? რა და: თუ ძროხების ადგილიც იქნება ავტობუსში, რატომაც არაო.

რაც თავი მახსოვს, კომუნისტების დროს, ქუთაისში სულ ხალხმრავლობა იყო ტროლეიბუსებში. განსაკუთრებით, წერეთლის ქუჩაზე, სადაც ორი უმნიშვნელოვანესი ობიექტი ფუნქციონირებდა: აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება და ლიტაფონის ქარხანა.

ერთხელ, სწორედ ამ ხაზზე ცდილობდა ტროლეიბუსის მძღოლი კარის დაკეტვას და ტროლეიბუსის დაძვრას. დიდი წვალების შემდეგ შედეგს მიაღწია, რასაც გამწარებული ყვირილი მოჰყვა: ,,არიქა, ვარდები“ – ე. ი. ძირს ვვარდები, ვეცემიო. ახალგაზრდა მამაკაცი ამაოდ ცდილობდა კარში მოყოლილი ხელ-ფეხის გათავისუფლებას!

– მოკრიფე მერე, რაღაცას უცდი, – მიაძახა ,,მოხულიგნო“ ტიპის ქუთაისელმა და ღიმილით გააყოლა თვალი ტროლეიბუსს.

ახლა სხვა ამბავი, რომელიც ცოტათი უფრო ვრცელია.

შემოდგომაა. სასიამოვნოდ თბილა. სოფლის ნობათით (მგზავრებითაც) დატვირთული ავტობუსი ქალაქისკენ იღებს გეზს. ჩემ წინ ორი ქალბატონი ზის და თავისთვის ჭუკჭუკებს.

– ამჟამად რაღას გემართლება, (იგულისხმება დედამთილი) რა მინდაო, რას გიწუნებს მაინც? – დასვა რიტორიკული შეკითხვა ერთმა და პასუხის მოლოდინში თმა გაისწორა ჯიბის სარკეში.

– რას და, სოფლელს მიწოდებს! – იყო პასუხი. – ,,საღორიაზე“ (არის ქუთაისში ასეთი დასახლება) მაინც არ იყოს გაზრდილი!..

– ერთ რაღაცას გასწავლი, სინჯე, იქნებ გაჭრას და მოკეტოს.

– აბა, გისმენ, – თქვა დედამთილისაგან გომბიოდ შერაცხულმა ახალგაზრდა ქალმა და სმენად იქცა.

– ჩემი მული ხომ იცი შენ, – ლილიკონე? წელს ფილოლოგიურს ამთავრებს. სწორედ მისგან გამიგონია, თურმე, ყველა დიდი კაცი სოფელში ყოფილა დაბადებული: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, შენ ხარ ჩემი ბატონი, – ოდნავ პაუზა გააკეთა და ორი დიდი კაცი (გალაქტიონი და კონსტანტინე) კიდევ შემატა ჩამონათვალს. – მაგათ კი, (ქალაქელებს) ერთი ცნობილი პოეტი ჰყავთ, რომელიც ქალაქშია (თბილისში) დაბადებული და თავს მოვიკლავ, თუ შენს დედამთილს მისი სახელი და გვარი ეცოდინება!

– თუ ჩემთვის სიკეთე გინდა, იმ პოეტის სახელი და გვარი უნდა მითხრა, – ლამის ყელი გამოიბდღვნა ,,დაჩაგრულმა“ რძალმა და მუდარით სავსე თვალები მიაპყრო მოსაუბრეს.

– გეტყვი, აბა, არა ? მაგის დასაბრიყვებლები ვართ სოფლელები!? ოღონდ ერთი პირობით: დეტალურად მომიყევი შედეგი, დეტალურად! ახლა კი ყური მიგდე: იმ პოეტის სახელი და გვარია ნიკოლოზ ბარათაშვილი. ოღონდ, დიდხანს არ უთხრა, აწვალე. აბა, თუ იცის! მერე კი სოფელში დაბადებული დიდი მწერლები ჩამოურაკრაკე. იცოდე, ერთიც არ გამოგრჩეს! აი, ასე ვიცით სოფლელებმა-თქო!...

– უი, უკვე მოვსულვართ და ესაა, – ჩავილაპარაკე, ერთდროულად, გულდაწყვეტითა და სიხარულით. გული მწყდებოდა იმაზე, რომ ვერ მოვისმენდი რძლის მონოლოგს დედამთილზე, რომელიც, დაპირებისამებრ, დეტალურად უნდა მოეყოლა თავისი სიკეთის მქნელისთვის. და მიხაროდა იმის გამო, რომ ისე გავერთე და გავიდა დრო, არაფერი გამიგია.

იმისიერსაიოცვენა

სამყაროს სიყვარული გადაარჩენს

2019 წლის 11 დეკემბერს ხაშურის კულტურის ისტორიას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი შეემატა. ეკა ბაქრაძემ და, მის მიერ რამდენიმე წლის წინ დაფუძნებულმა და ორგანიზებულმა პროექტმა **„ვარსკვლავთცვენამ“,** მორიგ სალონურ ფორმატში, ქართული კულტურის ამაგდარ ხელოვანებს უმასპინძლა. ეს ლამაზი დღე, ხაშურის საზოგადოების მხრიდან, იყო გზავნილი, როგორც უდიდესი სიყვარული, ნდობა და პატივისცემა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის **ილია II**-ისადმი.

„შესაქმის დღიდან მოაქჟამომდე“ – ასეთი იყო ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის დევიზი, რომელიც საბავშვო-თეატრალური წრის **„აკვარიუმი“** ბავშვებმა მაღალი არტისტიზმითა და გააზრებული ემოციით წარმოადგინეს.

საღამოს ამშვენებდა და ორმაგად საინტერესოს ხდიდა ლეგენდარული ანსამბლის **„სუხიშვილები“** უხუცესი თაობა: **ფრიდონ სულაბერიძე, ომარ მხეიძე, თამაზ კიკალიშვილი და თენგიზ უთმელიძე.** ძალზე შთამბეჭდავი იყო ბატონი თენგიზ უთმელიძის მიერ, წლების განმავლობაში შექმნილი უნიკალური ფოტო-მატიანე, რომელიც ლეგენდარული ,,სუხიშვილების“ მსოფლიოს გარშემო ტრიუმფალურ მოგზაურობასა და წარმატებას ასახავს, რომელიც ბატონი თენგიზის მე-40-ე ფოტო-გამოფენა გახლავთ.

კიდევ ერთხელ გაგვახსენეს აფხაზეთი და სამაჩაბლო მისმა ღვიძლმა შვილებმა: საინტერესო კომპოზიტორმა და შემსრულებელმა **ია მაისაიამ, მზია ხეთაგურმა, შოთა დარბუაშვილმა და ციცინო ბაბუციძემ.**

სასიამოვნო იყო **თემურ ჭახნაკიას** გაცნობა, რომელიც სოციალურ ქსელში ფეისბუკ-გვერდით **„პოეზიარი“**, სისტემატიურად აქვეყნებს ნაცნობ

და უცნობ ავტორთა ლექსებს და მხატვრულ ტილოებს. კიდევ ერთი, მეტად საინტერესო სტუმრის, მხატვარ-მოზაიკოსის ლალი თავართქილაძის ავტოპორტრეტმა გაგვაოცა. ღვთითნასწავლმა მხატვარმა შემოქმედებით პროცესში არასოდეს იცის, რას ქმნის, მის ხელს და გონებას რაღაც სხვა ძალა მართავს და, სასიკეთოდაც.

მოწვეულ სტუმართა შორის გახლდათ საქ. დამსახურებული ჟურნალისტი, **ვანო ჯაფარიძე,** რომელმაც საღამოს დასასრულს რეზიუმე გააკეთა: ,,საზოგადოების წინაშე საინტერესო პროგრამით წარსდგა ეკა ბაქრაძის მიერ ხაშურში ჩამოყალიბებული ბავშვთა ლიტერატურული წრე „აკვარიუმი“. ბავშვებმა, რომლებიც, ჯერ კიდევ გუშინ, წითელქუდასა და ბურატინოს ასახიერებდნენ, ამჯერად, ბიბლიურ მოტივზე შექმნილი მინი-სპექტაკლი წარმოადგინეს. ეს იყო ხმა ღაღადისა: **„ადამიანებო, დაინდეთ ერთმანეთი, ნუ გაამრავლებთ გზას, გოლგოთისას!..“**

აღსანიშნავია ეკა ბაქრაძის გულისხმიერი დამოკიდებულება დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ამაგდარი მუშაკის, **გივი გელაშვილისადმი**, რომელსაც 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად, უწმინდესის ლოცვა-კურთხევით, პოეტმა მზია ხეთაგურმა მის მიერ დაწესებული სიგელი **„პიროვნება“** გადასცა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის. ბატონი გივი გელაშვილი ახლა იმ ასაკში ბრძანდება, მხოლოდ და მხოლოდ, დათესილს რომ უნდა იმკიდეს, ეფერებოდნენ და მადლობას უხდიდნენ ყოველივე იმ წვლილისთვის, რაც მან ხაშურისა და, კერძოდ, ქვიშხეთის კულტურის ისტორიის შექმნაში შეიტანა. ჩემთვის საამაყოა, რომ აღნიშნული სიგელით დაჯილდოება, წლების წინ, შოთა დარბუაშვილსა და თქვენს მონა-მორჩილსაც ერგო.

მადლობა უფალს და ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჯერ კიდევ სწამს, რომ რწმენა, სიყვარული და გულწრფელი ურთიერთობები გადაარჩენს სამყაროს.

კლარა გელაშვილი

მავთულხლართების ტყვე

ციცინო ბაბუციძეს წაართვეს ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი რამ – ჟანგბადი, რომელიც ასე სჭირდებოდა და სჭირდება ფილტვებს – სამშობლოს ჰაერი, ლიახვი, ზღუდრის საყდარი, თირის მონასტერი, საღვთო ხეითი, ციხე-კოშკები, თამარაშნის მადლი... დაკარგა ბავშვობა, რომელსაც წლების შემდეგ ყველანი ვკარგავთ, მაგრამ ამ შემთხვევაში, დანაკარგი არა წარსული, არამედ მომავალია ანუ ის სანუკვარი მხარე, რომელიც ისევე უმომავლოდ გამოიყურება სადღეისოდ, როგორც აფხაზეთი...

მზია ხეთაგური – მწერალი,
საზოგადო მოღვაწე, წმ. გიორგის ოქროს ორდენის კავალერი

მონატრების სიმღერა...

მენატრებიან ვენახში
ალადასტურის მტევნები,
მენატრებიან ყანებში
ღიღილოს ლურჯი ტევრები...
მენატრებიან ბომბორა
მთები, ცხრათავა დევები...
მენატრებიან ღიპუცა
და სარქველმძიმე ქვევრები.
მენატრებიან საბძელთან
ბზით გაძეძგილი კევრები,
მენატრებიან მამები,
შრომით დაღლილი ხელებით,
თვალებბრიალა ხარებით...
ჩემი ბებო და პაპების –
ნაბიჯი, სვენებ-სვენებით...
მენატრებიან ურმები,
ყანაში – თივის ზვინები,
ვით, მზით ნაქსოვი კარვები...
მენატრებიან ზედაშე
ქვევრის ჯვრიანი თავები...
საფერავდანაპკურები –
პურები და საფლავები...
მომნატრებია ქუდების
ცაში სროლა და ღვინის დრო,
როგორ მსურს, –
თავს არ ვუტყდები,
ყოველდღე მწარედ ვიტირო!
ვერ ვნახე მისი სანაცვლო,
ვინ იპოვა და ვინ ვერა...
და სიყვარულით ავავსე
ეს საახალწლო სიმღერა!

თუ...

თუ ვაზის ძირში, მუხლზე დაჩოქილს
არ გიკოცნია შენი მიწისთვის,
არ აგიხედავს ვაზის ფოთლიდან
იით მოხატულ მშობლიურ ცისთვის...
არ გიყნოსია ყანის სურნელი,
არ გაგიყვია საგზალი სხვისთვის,
თუ ერთხელ მაინც არ წამოგიკრავს
ფეხი მშობლიურ ბელტის და ქვისთვის...
სიმინდის ტომრით არა სწვევიხარ
ფეხებდაბრეცილ, პატარა წისქვილს,
ურმის ჭრიალი არა გსმენია,
არ გახარებდა გალობა ჩიტის...
მდინარის ტალღას არ ჩაჰყოლიხარ,
არ გინატრია სიმაღლე დიდ მთის...
ამქვეყნად, მხოლოდ შენთვის მოსულხარ,
და, იმქვეყნადაც ვერ წახვალ სხვისთვის!

რედაქტორი ეკა ბაქრაძე